

თეატრი

№ 41

საყოველ-კვირხო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 41

12 ლინოტიპი

გამოიცემა ყოველ კვირარაობით

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. Xსსკვარ წლით.... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონსტანტინე პოლონსკის ქარვას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდუხიძისა.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისუიადება: თბილ ისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვედრდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-როზის მაღაზიაში, ხილის ყურთან. შუთანის ში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორრესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან, რედაქცია უპირილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყვენ დაწერილნი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გვგზავნას რედაქცია არ კის-რულობს, ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисть. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерей быв. Арцурии № 110.

გართული თეატრი

დღეს ქართული დრამ. დასისაგან წარმოდგე-

ნილი იქნება:

I

ბაქიაბუქი

კომედია 2 მოქმედ. გამდმ. კნ. ანასტ. თუმანიშვილისაგან

II

დროებითი სიჰვარული.

კომედია 2 მოქმედ. გამდმ. თავ. დ. ერისთავისაგან მონაწილეობას მიიღებენ: ჭ—ბ—ნინ. გაბუნია-ცაგარლი-სა, მ. მ. საფაროვ—აბაშიძისა, მ. მინაროვისა, ვ, მე-ლიქოვისა, ბ-ნი აბაშიძე, მესხიევი, აწუურელი, ცაგარე-ლი და სსვ.

დასაწყისი სწორეთ 7¹/₂ საათზე.

ქართული თეატრი

კვირას, ხუთს ლინოტი თვე, ქართული დრამა-ტიული საზოგადოების დასმა წარმოადგინა ა. ცაგარელის ერთ მოქმედებანი ვოდვეილი „ონბაზი“ და ოსტროვსკისა და სოლოვიოვის სამ-მოქმედებანი კომედია „ბედნიერი დღე“. „ონბაზი“, როგორც თფილისის საზოგადოებას, ისე პროვინციელებსაც კი, ხშირად უნახავთ დახელოვნებული მოთამაშენი ბ. აბაშიძე და ქ. საფაროვ-აბაშიძისა. ამ პიესაში ამათ მნახველს სხვა ძვირად მოეწონება. ეს არტისტები ისე მკვიტებლად, სიცოცხლიანად და მოხერხებულად თამაშობენ, რომ მაყურებელს უჭირდება პიესის აზრის მიმდინარეობის თვალ-ყურის დევნება. ამ ნაირი თამაში აუცილებელი საჭიროა ამისთანა უბრალო და მარტივ-მინარსიან ვოდვეილებში. ახალ-გაზდა ადვოკატის როლს ალექსეევ-მესხიევი ასრულებდა. ამი-

თანა როლებში ეს არტისტი სუსტია; და ახლაც სუსტობდა. როლის უკოდინარობაც ეტყობოდა. მისი ცოლის როლში ქალ. მელიქოვისა მეტად მოუხერხებელი და უმოძრაო რამ იყო. ქართულის ცოდნაში და სიტყვების გამოთქმაში კოჰლობდა; არც შიში და არც სხარული სახეზე გამოარკვევით არ აჩნდებოდა, ხოლო სიცილი ნამდვილად მოუვიდა. თუ რომ პრიკაშიკის როლში ბ. აწყურელის ხელოვნურსა და მკვირცხლ თამაშს არა, მაყურებელნი ძილს მიეცემოდენ. ამ უკანასკნელმა ჩინებულად გაატარა მთელი თავისი როლი.

„ოინბაზით“ მოწყენილი საზოგადოება „ბედნიერი დღის“ ცქერამ გაამხიარულა. ფარდა აიხადა, სცენაზე საეარძელში ზის ღრმა მოხუცი ფოსტის უფროსი (ბ. გუნია), ხელში გახეი უქერია, გრძელღერიანი ჩიბუხი სტოლზე უძევს; თან კითხულობს და ქართაში ეერობის სხვა-და-სხვა ქალაქებს ეძება, თან ეწევა ჩიბუხს. პოლიტიკაშია გართობილი. მთელი მისი ფიქრი და აზრი ამ საგანს გარდუყვალავს. ახირებული და უქყუო რამ არის. შემოდის მისი მეუღლე, ქ. გაბუნია-ცაგარლისა (ისიც მოხუცია, მაგრამ ჯერ მეტად ცოცხალი, მოხერხებული და თავიანი დედა-კაცი, მთელი ოჯახის და ქმრის სამსახურის საქმეებიც კი მის ქედზედა ძვეს. ამათ ჰყავსთ ორა გასახოვარი ქალი. პირველი ქ. ჩერქეზიშვილისა) უსიციცხლო, ძინარა, უპირისწყლო და საცოდავი ქმნილებება. მეორე კი ქ. საფაროე-აბაშიძისა) სიცოცხლიანი, მკვირცხლი, დადი-მანდი, სწორეთ მოჰკიკ-ჰკიკ მერცხალია; მოხერხებულობაში და ეშმაკობაში დედის სიმცბიერე ეტყობა. ჰყავთ ეგრეთვე ე-თი ნაცნობი ექიმი; (ბ. აღუქსევე-მესხიევი). ფოსტის უფროსის ცოლი ცდილობს თვისი პირველი ქალი ამას შერთოს. ესეც უდროვოდ დაბრძნებული, დაბერებული და ლაყე ეინმე.—რევიზორი, მათი აღმატებულება (ბ. აბაშიძე) მოდის ფოსტის საქმეთა განსახილველად. მას ახლავს ახალგაზდა ჩინოენიკი (ბ. აწყურელი ფოსტის მოსამსახურენი შახედებიან და უმქლანებენ მათის უფროსისაგან ჩადენილს უწყობებს, მისი ჩიბუხის ღერით დამტერეულ თავ-პირს აჩვენებენ. ფოსტის უფროსის ცოლი საშინელ დღეს მოელის; ქმარს ჩასძახის, თავდარიგი დაიჭიროე, დაღუბენს დღე მოწყენილიაო, მაგრამ მას არა ესმის რა. პოლიტიკაშია გართობილი. ცოლს ყველა იმეღები უქრება ერთად. ერთი იმედი თავის უმცროსი ქალისაგან-ლა აქვს, რომელსაც შეუძლია თავის ხერხითა და სილამაზით ღენერალი მოხიბლოს და მათზე გული მოუბრუნოს. ყმაწველა ქალი ჯერ ჩი-

ნოენიკს (ბ. ბწყურელს) ელაქუცება. უნდა საქმეები გაუქინჯავდ დააყრევიროს, ესაც მზად არის ყველაფერს თავი დაანებოს, მაგრამ უფროსის ეშინია. ყურმოჰრილი მონაა თავის პატრონისა. შემოდის ღენერალი. ყველას შიშის ზარი თავს ეცემა.—ფოსტის უფროსს მკაცრად ექცევა. ბოლოს მარტო უმცროსი ქალი და ღენარალი ჩიბიან ერთად. ქალი თავის კეკ უცისა და ეშმაკურის ქცევით მოხუც რევიზორს გულს აუფეთქებს, ხიბლავს და მამამისისაგან ჩადენილ უწყობებათ სრულიად დაეაწყება. რევიზორი ვადასწყევტს ეს ქალი თავის ჩინოენიკს შერთოს და შემდეგ თვით ისარგებლოს.—ჩინოენიკს სტოვებს, რომელიც ქალს სიყვარულს უტყავდეს. ქალის დედა აღტაცებაშია. ბოლოს მოხერხებული დედა უფროს ქალსაც მათ ნაცნობ ექიმს რთამს ცოლად და თავის დიდი ხნის განძრახვას ასრულებს. გაბედნიერებული ფოსტის უფროსის ცოლი ქმარს ახარებს ყველა ამას, მაგრამ იგი ძლიერ არ გაჰყირდება. აქ უხვეულებრივო არა მომხდარაო. ექიმის დასიძება კი ცოტა არ იყოს, რომ ამხიარულებს. ქვისლები ერთმანეთს გაიცნობენ; დები ერთმანეთს ულოცავენ გაბედნიერებას, ცოლი ამაყობს ქმრის წინაშე თავის ქუათ და მოხერხებულობით და ამით თავდება კომედია.

ამ პიესაში თავ. როლებს ქ. გაბუნია ცაგარლისა და ქ. საფაროე-აბაშიძისა ასრულებდენ. ორივემ ხელოვნებით და მოხდენილობით ითამაშეს. ყოველს მათ შოჰრობაზე მაყურებლების გულიდამ ხან აქ, ხან იქ ნება-უნებურად ისმოდა ამოძახილი: „ყოჩაღ!.. ბარჯაქალო!“ ყველა მოთამაშეებმა ჯეროვანად გაატარეს თვისი როლები თავიდან ბოლომდე. განცვიფრებული მაყურებლების აღტაცებას და «ვაშას» ძახილს საზღვარი არ ჰქონდა. სამუხსაროდ ხალხი ძალიან ცოტა დავსწრო და დარწმუნებული ვართ, ეინც კი შეიტყობს, ინანებს ამ სასიამოვნო პიესის გამოტოვებას

დასასრულ ბ, აწყურელმა წაიკითხა რამდენიმე კინტოური ლექსი და ქ. საფაროე-აბაშიძისამ თავისებურის სიმკვირცხლით ითამაშა სცენა-მონოლოგი „მშვიდობით ოცნებაჲ“!

დღეს წარმოდგენილი იქნება კომედია „ბაქი-ბუქი“ გადაკეთ. კნ. ანასტ. თუმანიშვილისაგან და „დროებით სიყვარული“ გადმოკ. თ. დ. ერისთავისაგან.

უცნობი.

თეატრის კვირა

აქედამა და შენამდის, კარდი მასსია ენამდის,
რომ ვინმე გამოვიშვებდეს, სიბრძლით მოკალ შენამდის.

ღამაზმა ქალმა დამწყევლა. სულ შედებილმა ინიითა
ნეტავი იმას შემყარა ზარხოშათ გიუო ღვინითა

გოგო, გოგო შავ თვალათ, ბიჭმა შემოგითვალათ;
ან მომეტ ჩემი დანათ, ან წამიყვანე თანათ.

ღამაზმა სთქვა: ბნელსა დამეს მე აღარ მინდა ფარანი,
მე ისეთი ბიჭი მინდა შინსა არ ესხას ბაღანი

(შერეობილი ნ. გაბუნია-ცაგარლისაგან)



მე ვიტანჯვო აღარავარ, აღარა,
შენ ღვინი გაქვს, დაფი, ზურნა, ნაღარა,
მე დაგებრდი, თმა შემექნა ჭაღარა,
ვეღარენ მცნობს, ცრემლმან დაწვი დაღარა.

გულს აკვსავს ტვირთი მძიმე ჭირისა,
სსოვნა არ მაქვს მე წარსულისა ღვინისა,
შველა არ სჩანს ჩემს გასაჭირისა,
ვიცი, ვხედავ ჩემებ არენ სტირისა!

უხარაინ ჩემს ბედს ჩემი წვალება,
შეუბრალოდ ასე ჩემი წამება;
უბედურსა თავა მასეს მამება,
ვეღარ ავხსენე ბედი ისე დამება.

აღარ სჩანან მეგობარნი, აღარა,
დროს უმყრდნენ, აღარ მცნობენ, აღარა,
შენ ღვინი გაქვს დაფი, ზურნა, ნაღარა,
მე სულ ვსტირი, ღვინი არ მსურს, აღარა,

სადღა არის სსოვნა უბედურისა
და ნუგეში ჩემებ დატანჯულისა,
ვინდა გვეტუვის მძა გარ შენის სულსა,
აღამდენი შენის სისხრულისა.

შენ ღვინი გაქვს დაფი, ზურნა, ნაღარა;
მე ვი ვსტირი, ცრემლმან დაწვი დაღარა,
აწ დაგებრდი, თმა შემექნა ჭაღარა,
აღარ მცნობენ მეგობარნი, აღარა!..

გნ. ნინო ორბელიანისა.

ბედ-კრული.

(თარგმანი.)

პაპი ჩემის საქმე თან-და-თან უკან წავიდა, ვაჭ-
რობა დაეცა, გზები დაიხლართა. ამის მიზეზნი-ჩემი
ახალ-გაზდა ბიძები იყენენ: მამის და უფროსი ძმის
მალეით დაიწყეს მათ ლოთობა, ფულების ფლან-
გვა და ბევრი სხვა საქაგლობად... საქმეზე გული
აღარა ჰქონდათ. ჯერ სახლი გაეყიდეთ, მერე—ორი
დუქანი, —საქმე მესამეზედ მიდგა. ღვინის წინაშე, არც
არას მამა ჩემი აკლებდა: ვითომ და ჯავრის გასაქარ-
ებლად, იმანაც ხშირად დაიწყო ღვინის სმა და თი-
თო-ორიჯო კვირით სხლში არ შემოდოდა. ოჯახში
ჩხუბი და უთანხმოება ჩამოვარდა. საბრა-
ლო დედამ ველარ გაუძლო ამ ამბავს, სიკვდილს თან
გადიქანა უბედური. დედი ჩემის სიკვდილის შემდეგ
მე ბებია მპატრონობდა. შეიღების ცუდმა ქცევამ,
უთანხმოებამ, ჩხუბმა სწორეთ ზეზეური ჯოჯოხეთი
დანახვა საცოდავ ბებია და, ი.ე.კ მოხუცებისაგან
დაწყვეტილს, ავთ-მყოფობა დაწყებინა. აწ გაუვლია
სამს თევს, რომ იმანაც დაიკრიბა გულ-ხელი და ამ
წუთის სოფელს გამოესალმა. მისი სიკვდილით ოჯახს
დღეა მძობი მოაკლდა..

ამ უბედურობის შემდეგ ბევრს ხანს აღარ გაუე-
ლია, რომ ბებიასთან მიჰყენენ: პაპა, მამა ჩემი და სა-
მი ბიძა. მთელი სახლობილად მხოლოდ მე და უმცრო-
სი ძია-ლა გადავრჩით, —შუათანა საღლაც გადაიხვე-
წა, დღესაც არ ვიცი თუ ცოცხალია თუ მკვდარი. რაც
დაგვიჩა, სამკვიდროდ იმასაც მოვალეემა მოუხვეს ხე-
ლი და გავეყიდეს, ჩვენც დავრჩით ღვინის ამარა:
უსახლ-კარო, უფროშ-ფულო, ყოვლის უნუგეშოდ,
ერთის დღის საგაღიერ აღარ მოგვევებოდა.

რა ექნათ? რით ვიცხოვროთ? პირველად დაეიწ-
ყე ამ მწველ კითხვებზედ ფიქრი, პირველად ვიგობე-
ნი ჩემი წარსული ცხოვრების სიფუტე. მემუშაენა?
ჰმ... განა საზოგადოთ ქალებს და კერძოდ მე შრო-
მისათვის მამხადებდნენ? უბედურებამ, დღე-ღამე ფიქ-
რმა ბევრი რამ დამანახვა ნათლად, ამხილა თვალე-
ბი და მით უფრო გაათაცა ჩემი წამება! ჩვენ, ქალებს
თითქმის დაბადებიდანვე მხოლოდ იმას ჩავგვიჩინებენ,
რომ ცხოვრება ქალისათვის ნეტარების სალაროა, ამ
სალაროს მფლობელია კაცი და ჩვენ მხოლოდ იმას
უნდა ვსტილობდეთ, რომ ჩვენი თავი ქმარსა...
მის ღონეს, იმის განკარგულებას; რაც შეიძლება უფ-
რო აღრე დავიმორჩილოდ ვიკვებოთ მისის შრომით,
ესჯადღეთ მისის აზრით, ესცოცხლებდეთ მისის სურვი-


ლით. განვუფენოთ, მივატოვოთ ყოველივე, რაც კი გვიჩვენებს ოჯახის მანებელს...

თუ ქალი გონებით, სწავლა-გამოცდილებით მაინც თანასწორობას ვერ გაუწევს კაცს, თუ შრომის სურვილით და სიმბნევით არ არის იგი დაგვიგინებული, მაშინ ეინც უნდა აიჩიოს მან საქმროდ, როგორც უნდა უყვარდეს ეს კაცი, მაინც არ იქნება ბედნიერებას მოკლებული... ქმარი ძალუმი, თითონ უძლური, ერთი ყველაფერში დახელოვნებული და მცოდნე, მეორე თითქმის... გამოუცდეელი... არ ვიტყვი მეტად ჭკვიანს და გონება განვითარებულს ქალს, თვით ცოტად შეგნებულისათვისაც კი საკმარისია, რომ ამ გვარმა განსხვავებამ, მუდმივმა ძიწოლამ მის წინაშე, გონებრივ ძალის ქვეშევრდომამ მის მოწმენდილს ცას ღრუბლები მოჰფინოს. რაც უნდა ავიღოთ, თუნდა ამ გვარი უბრალო საგნები, როგორც სახლის მოვლაა, სარისტის მიცემა, წესის დაცვა, ყოველისფერს სწავლა და მომზადება ეჭირება. დიდ მნიშვნელოვან ქალის მოვალეობაზედ—დღობაზედ აღარას ვიტყვი—თუ სახლის სარისტას სწავლა ეჭირება—საინილოდ ხო მთელი თავის სიცოცხლე უნდა ამზადოს კაცმა. თუნდ ამასაც თავი დაეანებოთ, უმეტესს ნაწილს ჩვენ ქალებს იქამდინ გონებით საყარს როგორ გვხდინა, რომ გაჭირებაში ლუკმის შოენასაც ვერ ეახერხებთ პატიოსანი შრომით, ე. ი. არ შეგვიძლიან, რადგანაც არაუფერი შეგვისწავლია... განა სახლში, ქმართან, ისევე ის უსულო ლეში არ გამოდის ქალი, როდესაც მოკლებულია ცოდნას, გამოცდილებას და გონიერულ შრომას? განა უმეცარს და უძლურს ცოლს შეუძლიან ქმრის მხრის ამოშეღება!.. სხვანიც არიან მაზეწნი, მიგრამ უმეტესათ ბრალი შშობლებს მიუძღვით... მაგრამ, უკაცრავად, ჩემი უბედურება ყველგან უბედურებასა ჰხდაეს და ამასთანვე თქვენთვის საჭირო არ არის ჩემი ჰაზრის გაგება ამ საგნის შესახებ. დავებრუნდეთ ისევე ჩემს თავ-გარდასავალს. მეც მაცმეღდენ და მხურავდენ ჩემი პატრონები იმ იმედით, რომ ოდესმე, სიყრმიდამე გაწვრთნილი, გავაბამდი ვისევე სიყვარულის მახეში და მოვაშორებდი ჩემს თავს შესანახად. ცოტ-ცოტა მე ყველაფერი ვიცოდი: წერა-კითხვა, მუსიკა, ხელ საქმე, ფრანციზული. ენა ერთის სიტყვით ყველა ის, რაც საჭიროა იმ გასათხოვარი «ბარიშნასთვის», რომელიც დიდისა და მდიდარი კაცის საცოლოდ ემზადება და არა იმ ქალისათვის, რომელსაც ხვედრი დღიურის შრომითა და ოფლით კვებას არგუნებდა. საბუთიანად სრულიად არა ვიცოდი რა, რომ ამ გაჭირებაში გა-

მომეყენებინა. თუ კაცს სიყრმიდგანვე არ შეუგნია, რომ ყველა სულდგმულისათვის საჭიროა შრომა, რომელიც მან ცხოვრების საგნად უნდა გაიხადოს, თუ კაცს ღროზედ არ მოუმზადებია თავი ამ შრომისათვის—„ვიში“ და სინანული ბოლოს ფუჭი ყოფილა. ჩემს პატრონებს ის ვერ წარმოედგინათ, რომ მე, შესაძლებელი იყო, ოდესმე მისთანა მდგომარეობაში დის მივეღწევა, რომ შრომას ჩემი სიყვდილსიცოცხლის საწორი სქერებოდა და მეც, სრულის გულთაც რა მდომებოდა ეს ნეტარი შრომა, მინც ვერ შევიძლებდი. ვის ან რის მანქანა ვიყავი? არავისი და არა ფრისა! ორი გზალა დამჩნეოდა: ან ძალა დამეჭანებინა თავისათვის, შეეჩეულოყავ უჩეულებრივო შრომას, ან დაეჯერებულოყავ ბედითს და თითქმის უპატიოსნო ცხოვრებას...

მე, ნებერს, ლალს და თამამა, რომელსაც სრულიად არა გამეგებოდა—რა გაჭირებისა, ბედის ჩარხის ტრაალმა საშინელ მდგომარეობამდე მიმღწეინა: ჯერ ბუზღუნი და დაცინვა, მერე-ლანძღვა-გინება, მძიმე შრომა, ხელზედ სამახური და ხშირად ქიმუნიჯებიც—ყველა ეს მოთმინებით უნდა ამეტანა.

განსი—



სახლური თქმულებანი.

მოხსენებები ავიღდენ ეთრს გორაკზედა და წისქვილს დაუწევს კებება. პატარძალმა ჯერი მიუტანა და ცარიელი ლიტრა. რომ დასხდენ სადილად წყალი მოითხოვეს—პატარძალმა ცარიელი სურა მიაწოდა. „წყალი რაღა გიქმნიაო?“ დაეითხნენ მოხსენებები. „მე საცა წისქვილი მინახამს, უწყლოთ არ მინახავსო!“ მიუგო პატარძალმა. მოხსენებები შეიმშუმნენ. „მართლა და უწყლოთ წისქვილი ვის მოუგონიაო?“ მოუჭირეს პატარძალს თავზედ წნელი: „ეს ჩვენზედ ჭკვიანი ყოფილა და ეგების ჭკუა არსად გაეყაროსო.“

მოხსენებებს არზა უნდა მიერთობით „ნაჩაღკითვის“ დაწერინეს, მიაბეს თოკები საძნე ურემზედ, შეაბეს მთელი გუთნეული და რის ვაი-ვაგლახით ცარიელი ურემი მიათრიეს „ნაჩაღკის“ კარებთან. გამოვიდა „ნაჩაღნიკი“ და იკითხა, „ეს რა ამბავია?“ „პატრონო, არზა მოგართვით, იმდონი სათხოვარი გვაქვს, რომ გუთნეული დაიხოცა იმის ზიდვაშიო!“



ჰამლეტი.

აკურ ლოცულობს.

მარჯვე დრო არის და მარჯვედნე მოვისმარ ამ დროს.
 მოკვლავ და შეცას ავა იგი. ამითი ვითომ
 მერე ვაჯარს ვიყრი? მოფიქრება არის საჭირო.
 მამა მომივლას ავაწავს და მე ვი, ნაცვლად,
 მის მკვიდრი შვილი შეცას ვგზავნი იმავე ავაწავს.
 ეს სომ ვიღვლი, სად არის აქ შურის-ძიება!
 მამა-ჩემს სული ამოვსად, როდესაც იგი
 განცხრომით იყო სადილ-შემდეგ და ჭფუფუნებდა,
 როცა ეოკელნი მის ცოდვანი ისე ჭყვოადენ,
 ვითა ევაილნი მისისის და აწ ვინ იცის,
 გარდა შეცისა, რა განკითხვა ერგო მას წილად!
 დასაჯერია უფრო იგი, რომ მისი სკედრი
 სამძიმო არის. მერე ამით ვითომ ვაჯარს ვიყრი,
 რომ აწ სიცოცხლე გამოვიწყო, რომ მისი სული
 განწმედილია და ამოსვლად განმოსდებული?
 არა და არა! იქით, სმლო, და მას ეცადე,
 დრო უარესი შეუჩინო: ოდეს ლოთობდეს,
 შფოთს და ბრახს მისცემოდეს, ან რომ ეძინოს,
 ან შეძკობდეს თვის საწოდში სისხლის-შერეოთ,
 ანუ ლეთის კობით, თამაშობით ვართული იყოს,
 ან წადიოდეს სხვა-უწმიდურს რამ საქციელსა.
 მაშინ დაჭერ და ეირამლად საგდე ქვესკულს,
 რომ მისი სული იქმნეს ბნელი, შეხვეწებული,
 ვით მის სამყოფი ჯოჯოხეთი.—ესლა წავიდე,
 იქ მიმელის მე დედაჩემი.—შენ, მავ წამალმა
 კიდევ მცირეს ხანს ებ ბედ-შავი დღე გაბატონდელის.

(ჰამლეტი გადის. ხელმწიფე ადგება და წინ მოდის.)

ხელმწიფე.

სიტყვა მიფრინავს, მაგრამ ფიქრი, აქ, დაბლა, მჩნება;
 უფიქროდ სიტყვა ვერ მისწვდება ცას კრახადეს.

(გადის.)

სურათი IV

(მეორე ოთახი)

(შემოდინ დედოფალი და პოლონიუსი.)

პოლონიუსი.

იგი ესლავე განსლებათ. კარგად განკიცხეთ
 და უბრძანეთ, რომ უცნაური იმისი ქნევა
 წომას გადავიდა და მოთმენა მსულოღა არის;
 თან დაუმეტეთ: მე ხვედრე-თქო შეამავალად

მეფის რისხვისა და შენ შორის. მეც, დედოფალი,
 აქ დავიმალევი. გთხოვთ, შენისნოთ გამოქტებით.

დედოფალი.

მაგას უგელაფერს შევასრულე, ნუ გეშინიან.
 ფეხის სმა მესმის, დაიმალე, მგონია, მოდის.

(პოლონიუსი დაიმალება. შემოდის ჰამლეტი.)

ჰამლეტი.

რა ამბავია, დედაჩემო, რად დამიბარე?

დედოფალი.

ოჰ, შვილო, დიდად აწეინე შენ მამასუნსა.

ჰამლეტი.

ოჰ, დედა, დიდად აწეინე შენ მამასუნსა.

დედოფალი.

არ არის კარგი, უგებს ენით რომ მიპასუხებ.

ჰამლეტი.

არ არის კარგი, ბოროტ ენით რომ შეკითხები.

დედოფალი.

რას ნიშნავს ეს, შვილო ჰამლეტ?

ჰამლეტი.

რამ, რა გნებათ?

დედოფალი.

მე კვლავ მცნობ?

ჰამლეტი.

კარგად გიცნობ, ვაჯარს გეფინები.
 დედოფალი სარ და მეუღლე შენის ქმრის მისსა.
 ესეც არ იყოს,—სომ ვიცი, რომ დედა სარ ჩემი.

დედოფალი.

მას კარგი, მე სხვას გამოგვავნი,—ის გესაუბროს.

ჰამლეტი.

აქ იყავ შეთქი, ადგილიდამ ნუჯარ დაიჭრი.
 ვერ წახვალ, ვიდრე შენს თვალთა წინ სარკეს არ დაჯდამ,
 რაშიც შეგეძლოს შენის სულის სიღრმის დანახვა.

დედოფალი.

რა გინდა მერე, იქნება თუ მოკვლას მიპირებ?
 მომეშველენით!

პოლონიუსი.

(ფარდას უკან იდამ.) ეი, ჩქარა, მოდიო, გვიშედეო.

ჰამლეტი.

ეს რაა? თაკვი?

(მანვილს ამოიღებს და ფარდას მანვილით განკრეფს.)

მოკვდა, მოკვდა, თუნდ ნამღვესა გვებ!

პოლონიუსი.

(ფარდას უკან.) გაიქ, მოკვდა.

(დაეცემა და ავდება.)

ლედოფალი.

ეგ რა ჰქმენი, რა მოაქმდე?

ჰამლეტი.

მე თვით არ გინი?.. შეფა თუ?

(ფარდას ახლავს და პოლონიუსს გამოათრევს.)

ლედოფალი.

რისთვის გაცნობდი?

რად შეიბღალე წმიდა სისხლით?

ჰამლეტი.

მე შეიბღალე?

ეგ მართალია და ეს თითქმის იგივე ცოდვანა, ვით შეფის მოკვდა და მერე ჰმრად იმის მისი შერთვა.

ლედოფალი.

ვით შეფის მოკვდა?

ჰამლეტი.

დაიღ, დაიღ, ეგ მოგასხენეთ.—

შენ, საცოდავო, მეტიანარა, უჭკვო მასხარა, მე სხვა მეგონე, უფრო დიდი; გთხოვ, რომ შემიხდო. კტუობა, შენი ბედის-წინა ეგა ეოფილა, არ ვარგებულა მეტიან-მეტი გულ-მოდგინება.— რისთვის იგაწარე ატრე შელებს, წინარად, დაფუქი! მე მიხდა გული დაგიაწრო და დაგიღვლარქნო, თუკი სინიდაისს აქვს მაგაზედ ზედ-მოქმედება; თუ ბორბტებამ შეჩვეულმა, ზეცით გმობილმა ეგ არ გარდაქმნა მიუღვრემელ, უგრძობებელ ზღუდედ!

ლედოფალი.

რა გქმენ ისეთი, რადა მკიცხავ ატრე სასტიკად, რისთვის მაკადრებ მაგისთანა შეურაცხებებს?

ჰამლეტი.

ეგეთი საქმე ჩირქსა სცხებს თვით უმანკობას, უსპობს მოარცხვობის სიწითლესა, შენებებს უსპობს; ფარისეველობის სახელსა სდებს სათნობასა, უბიწო ტრფობას. ვეკვილსა გლეჯს შენეიერს შუბლზედ და იმის ნაცვლად ასენს იგი წელელს და იარას; ცოლ-ქმართ პირობას მოთამაშეთ ცრუ-ფიცს ამზგავსებს, აუქმებს სრულად ჭორწინების წმიდა უღელსა, სარწმუნობას, სასაოს და ტებილს ფუფე სიტყვად ჰხდის. ოჰ, მაგვარ საქმით ზეცის სახე რისხვით ეღვარებს, და ესე მყარი დედა-მიწად შეტყმეხვნილია და ნაღვლიანი, თითქო იყოს დღე განვითხვისა.

ლედოფალი.

რა საქმე არის ისეთი, რომ ეგრე ღვადებებს, ან რასა ჰკიცხავ მეღვარის და მჭუსარე სიტყვით?

ჰამლეტი.

შესედე ერთი ამ სურათსაც და მეორესაც, აი ამ სახეს ორივე მისას. ნახე, თუ პირველს როგორი მადლი გადაჰქვრია შარავანდედად; ჰიპერიონის სუტუტს თმასა ჰგავს ამისი თმა და შუბლი თვითონ იუპიტრის შუბლს ემზგავსება; თვალნი მარსისა მარისხანებით, ღვთაებრ, მჭვრეტელნი, ახოვანება მერკურისა, ციურთ შევრიკის, წარმოგზავნილის ცად-მაბჰვნილ, მაღალ მთის წვერზედ; შესედულობა დიდებულნი, რომელნიც თითქო თავანთ ბუჭდით სათითაოდ ღმერთთ ადებუჭდოთ, რომ კაცის სახედ დაქსნათ სრული ჰმნილება. აი ეს იყო შენი ქმარი, ახლა შესედე ამ მეორესაც; ეს არ ინდობს თავის ღვიძლ მძას და დაობებულ, წამსდარ ჰურის თავთავის მზგავსად სპობს მის სიცოცხლეს. სადა გქმნდა შენ ეგ თვალუბნი? ვით დასტოვე ეს შენეირი მთის სამოვარი და ამ მერალ ჰვობს მიაგენი გამოსაკვებად?! სადა გქმნდა მეტქი ეგ თვალუბნი? სიყვარულს ხომ ვერ მოამეზუებ. ხომ იცი რომ შენს სახში სისხლი მიეუხებული არის და ჰკვას ემორჩილება. მერე რა ჰკუა უნდა იყოს, ეს აირჩიოს და ის უარ-ჰყოს! უგრძობებელი არა ხარ, გვონებ,— გრძობა თუ არ გაქვს, ვერ შესძლებდი მოძრობასაც, მაგრამ მაგ გრძობას მოჰკვლებია გრძობიერება, თორემ გაიცი ვი ამ საჯანში არ შესცდებოდა! სიგოვეს გული ისე ხომ ვერ დავიძნება,

რომ ვეღარ შესძლას გამოჩენა კარგის და ჯიხის. მამ რა უშხაქმა გადაგაკარა თვალებზედ ბინდი? ვინ შესცდებოდა ასე შუარედ, თუნდ რომ ქქონოდა მარტო თვალები, სელნი მარტო, მხოლოდ ყურები, ან მხოლოდ ყნოსვა სხვა გრძნობათა დაუძებულად, ან თუნდ მცირედი რამ ნაფლეთი ნამდვილ გრძნობისა? ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე! ჭოი, ბოროტო ვოჯოხეთო, თუ შეგიძლიან დაზნაისელის დედაკაცის გულის ანთება, — მამ ალტუენებულ სიემწვილის გრძნობა ძლიერი თუნდ ცვილად იქნეს და საკუთარს ცეცხლსედეგ გადნეს! რაღა უწოდებ სირცხვილეულს ნორს გულთა დელვას, რაჲი ეინუღივ იწვის ასეთ მსურვალე ცეცხლით და გულის-თქმას ემონება გონიერება?

დედოფალი.

ოჯ, შეილო ჭამლეტ, ჩუმიდ იჯე, ნულარას აზობ, შენმა სიტყვებმა ჩემს სულშიეუ ჩამახედვინა და დამანახვა ცოდვის კვალი ამოუშლელი.

ჰამლეტი.

როგორ, განცხრომით უნდა იწმე ტუტკიან საწოლს, ქასსა და ოფელში უწმინდურად ითხუზნებოდე, უნდა სტებებოდე შურტალს გუბეს გარყვნილებისას...

დედოფალი.

ოჯ, ნულარ მეტყვი ჭამლეტ, ჭამლეტ, ნულარას მეტყვი. მე კვ სიტყვები ხანჯლებივით, ყურს მიტრიალებს.

ჰამლეტი.

ის ჯაჯავი, კანის-მეგვლედი, უმზგავნი მონა, შენის ზირველის მეუღლისა ფრჩხილის უღირსი, მეფე-მასხარა, სახელმწიფო ტანტის მპარაჯი, ჯიბეს-ჩამდები უძვირფასეს დიადიმისა...

დედოფალი.

კარგია, კმარა.

ჰამლეტი.

მეფე მსვრებში გამოსხეული...

(შემოდის ა ჩ რ დ ი ლ ი.)

ცის ანგელოზნო, თქვენის ფრთების ქვეშე მიმიღეთ და მფარველად მექმენით მე! — რა გსურს ნეტავი, რომ ეგეთისა ამო სასით გამომეცხადე?

დედოფალი.

ვაი ჩემს თავსა, ჭკვიდამ შესტდა!

ჰამლეტი.

სთქვი, თუ მოხვედი, რათა შენს შეილს დააყუდრო დაგვიანება, დააყუდრო, რომ გულის-თქმას არ აჭყვა თვისას და საშინელი სიტყვა შენი კერ აღასრულა.

აჩრდილი.

ნუ დაივიწყებ, რომ ამ მოსვლით მე მწადის მხოლოდ მისუსტებული ნების-ყოფა გაგიცხოველო. — მაგრამ შეხედე დედაშენსა, როგორ თითის შიშით, ჩადექ შენ იმის შემერთად სულსა და იმას შორის, თორემ ოცნება სუსტსედ უფრო ძლიერ მოქმედობს. უთხარნი რამე.

ჰამლეტი.

დედაჩემო, რა გამართება?

დედოფალი.

რა გამართება, შენ თვითონვე, ოჯ. შეილო ჭამლეტ, რომ გაშტერებით ჩასცქერისარ ცარაელ სივრცეს და თითქო ჭკერს უსხეულს ესუბრები.

შენი თვალები გააუწებენ სულის-კეთებას და შენი თმაც აწვილდა ვაღეზედ დამდგარა, მზგავსად ძილიდამ აძლილისა ბანაგის ჯარის, თითქო თვითეულ ბუწვისათვის სული საედათ. ოჯ, ტებილო შეილო, შენის სულის მწკავსა ნაღვერდადს, გთხოვ, მოთმინების ცივი წყარო უხვად აშკურო. — რას უგვირდები?

ჰამლეტი.

იმას, იმას, შესედე, როგორ ნაცრის-ფრად ეღავს. იმის სახე რომ დახანსვო და გააგონო იმის საქმე, მაშინ თვით ქვესაც გრძნობიერებას აღუძრავდი. ოჯ ნუ მიეყურებ! თორემ საბრალო სახე შენი წინ დაუდგება ჩემის სასტიკის განწრას-უღის აღსრულებასა, — მაშინ იქნება სისხლის ნაცვლად ცრემლი განთხიო.

დედოფალი.

ვის ეუბნები მაგ სიტყვებსა?

ჰამლეტი.

იქ ვერას ჭხედან?

დედოფალი.

ვერაფერს, თუმცა უხვადვი არა მრჩება-რა.

ჰამლეტი.
 არცა რა გესმის?
 დედოფალი.
 არაფერი. ჩვენის ხმის შეტი.

ჰამლეტი.
 ერთი შესუდე, ნასუ, როგორ მიიღწარება:
 მამახემის თავისაკე შესამოსულში...
 კარგად შესუდე, აი, აი, აკურ გავიდა!
 დედოფალი.

ეკ მსოფლად შენის გონების წარმოდგენას —
 ბნელით მოცულს ჭკეპს მოჩვენება ეწიება სშირად.

ჰამლეტი.
 ბნელით მოცულს ჭკეპს? შენ გგონია, მე გაუი ვიყო?
 ვით შენი მკვდა, ჩემი მკვდაც რომიერად სცემს
 და თანაბრობით ამტკიცებს ჩემს ჟანის-სიმართლეს.
 რაც ესდა მე ვთქვი, ეს სიგოეთით რადი მომსულას;
 თუნდ გამომცადე, სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ —
 გამეორებას, აბა მოთხარ, გაუი ვით შესძლებს?
 ოჰ, დედაჩემო, გაფიცებ მადლს მადლს, სეციურს,
 ნუ ანუგეშებ თავს იმითი, ვითომც სიგოე
 და არა შენი ცოდვა ამას მალაზარაკებს.
 ეს სანუგეშო საცხებელი მაგ შენს იარას
 მსოფლად თსელს კანსა გადაკარავს და შიგინდამ კი
 გარეწილებიას ბილწი ტესლი გულის ჩაკეკლებს.
 გაუტედი ზეცას, შეინანუ შენი წარსული;
 ზღუდე აღმართე მომავლის წინ და ღვარძლის ბაღასს
 ნუ ანტიკებს, — უფრო ძლიერ არ გადინებდეს.
 ოჰ, მომიტევე მისწრაფება სიმართლისაკენ;
 მართლაც ამ მურტლას და სიმსუქნით დამზალს დროს
 ხომ სათნობა მუსლ-მოადრეკით ბიწის წინაშე
 კეთილის ქმნისა ნებას უნდა გამოითხოვდეს.

დედოფალი.
 ოჰ, მაგ სიტყვებით გული ჩემი ორად გავლიკე.
 ჰამლეტი.

მამ შორს გასტეორცნე უწმინდური ნაგლეჯი მისი
 და იმ მეორე ნასუერთიას იცხოვრე წმინდად.
 მშვიდობის დამე მოგვცს დემოთმა, მაგრამ ნუ წასვალ
 და ბიძისქმის საწოლს ნულარ მიეკარები.
 თუ სათნო არ ხარ, სათნო სასუ მანც მიიდე;
 ეს იცოდე, რომ ეშმაკიას მსგავსად მომქმედი

და ყოველ გრძობათ შემმუსგრელი კანთ ჩვეულება
 ამ შემთსვევაში ანგელახის სიკეთეს იხენს, —
 იგი კარგსა და კეთილს საქმეს სდებს ისეთს სასეს
 თითქო ეგ სასუ დაბადებით შეგვეთვისებოდეს.
 სცადე, ნუ წასვალ შენ ამაღამ და მერე გელავან
 წაუსულელობას ეს ადვილად შეგაძლებინებს.
 ბუნების სჯულის შეცვლა ძალუძს ჩვეულებასა
 და ძლიერებით თვისით იგი ეშმაკულ ძალთ
 ან თვის ნებაზედ მოსდრეკეს, ანუ სრულად განდევნის.
 კიდევ და კიდევ მშვიდობასა ვისურებ შენთვის,
 და თუ სურვილი გულს ადგემარ დაგლოცოს ვინმე,
 მე თვით მოვითხოვი, დედაჩემო შენგან დალოცვას.

(პოლონიუსზედ უჩვენებს.)

გწუხვარ, რომ მე ეს შემომცხვდა, მაგრამ ეტეობა,
 ასე განატეს ზეცის ძალთა: მე აღმირჩიეს
 თავიანთ ბჭედ და განზრახვისა აღმასრულებლად;
 ამ კანთი მსაჯეს და მეც იგოე დამსჯუვიანეს.
 წაყალ, ვიზრუნებ ამისათვის და ანგარიშსაც,
 ვინც მომთხოვს, მევე ჩავაბარებ. დამე მშვიდობის.
 თუ სასტიკი ვარ, ეს სიკეთის ნაყოფი არის,
 ცუდს შეკვდიოთ კიდევ და უარესს წინ შევეყრებით.
 კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა.

დედოფალი.
 მიითხარ, რა გქმნა.
 ჰამლეტი.

ნუ იხამ იმას, რაც მე გითხარ, რაც დაგარიგე.
 დეე იმ მეფემ გარეწილს საწოლს გელაგ მიგოტეუოს,
 გადაგისვას ხელი მაგ ლოკებსედ, მოგაკლერსოს,
 მამინ შენ იმის უწმინდურსა, მსურვალე კოცნას
 და დაწვეულიას თითებთა გაფოფუნებას
 შესწირავ ჩემსა საიდუმლოს, ეველსა გაუძსელ, —
 ეტევი რომ გაუი კი არა ვარ, კიგონებ მსოფლად, —
 კარგი იქნება, ეველაფერი გამომეღვანო. —
 ან ვით შეჭეერის შენებრ ღამასს, ჭკეპიანს დედოფალს,
 მას დაუძალოს ესოდენი მძიმე საქმენი,
 მას, იმ დამურას, ქვემდომ ვოჯოს, ქეცინას კატას!
 ნულარ მიჭსედავ ნურც ჭკუას და ნურც საიდუმლოს,
 ბანზე ფაფას აიტანე, გაადე კარი
 და ტევე-ფრინველნი დააფრინე. მერე შენ შეძვერ
 იმ ყაფასში საარაგო მაიმუნთ მსგავსად
 და მადლიდამა ჩამოვარდი ვისრის მტერეკითა.

დედოფალი.

სიტყვა სუნთქვას, სუნთქვას კიდევ სიცოცხლე მოსდევს

და მომესპოს მე როგორც სუთნაჲ, ისე სიცოცხლე, შენი ნათქვამი საიდუმლო თუ გავაძნეობო.

ჰამლეტი.

მე ინგლისს მივაღ, ეს სომ იცო.

ღედლოფალი.

ვაიძე ბედგროფს!

დამაგიწყდა, რომ ეგრე არის გადწვეტილი.

ჰამლეტი.

დაბუკდილია წერილები და ბრძანებაც მიცემული აქვთ ორს თან-შეზღიდეს ამხანაგს ჩემსას, რომელთაც ისე ვგნდობი, ვით შხამიან კველსა.

გზა იმით უნდა გამოიკვალონ ჩემის მანისკენ.

დეე იშრომონ; სსამოა, როს შემანჯანეს

მისგან ნამზადი იარაღი მალდა აფეთქებს.

ცუღად მომივა საქმე, თუ რომ მეც არ გავთხარე,

არ მოკუჭტე იმით ნაღმებს ქვეშით სსვა ნაღმი

და მოვარემდე არ ავაფრინე. რა სსამოა,

როს ორი მალა ერთმანეთსა მოჰიზღაზირობს.—

ამ კანმა ღამის ტვირთთა-მზიდველ მუშად მსჭტიაო.

მეტი რა გზა მსჭტეს, უნდა სსვანს წავიღო იგი.

ღამე მშვიდობის, დედა-ჩემო. ეს რჩევის წვერი,

როგორც ესლას, ისე ჩემად არსად ყოფილა,

არსად ყოფილა ასე წუნარი, შესაიდუმდე,—

სიცოცხლეში სომ სულებ-ებედან მას ეძსოდე.—

წამოდი, ბარე შენსა საქმეს ბოლო მოკუღო.—

რადას ვუყურებ! დედა-ჩემო, ღამე მშვიდობის.

(გადიან სსვა და სსვა მზარეს. ჰამლეტი პოლინიუსს მზარხედ მოიკიდებს და გაიზანს.)

მოკმედება IV

სურათი I

(იგივე ოთახი.)

(შემოდინ ხელმწიფე, დედოფალი, როზენკრანცი და გილდენსტერნი.)

ხელმწიფე.

უნდა რადასაც ნიშნავდეს ეგ ოზნარ და კენეს; ნამდვილი მითხარ, ვერ დატოვებთ გაუგებასსა.

ჰამლეტი სსად არის?

ღედლოფალი.

(როზენკრანცი და გილდენსტერნი, რომელიც ტილიან.)

მატარა სსხს მატრო ყოფნა გესურს. რა სსჭმე ვნახე ამაღამა, ბატონო ჩემო?

ხელმწიფე.

რა ნახე, მითხარ, ან ჰამლეტი როგორდა არის?

ღედლოფალი.

გაროფეული არის ისე, ვით ჭარიშხალი, შეჯობრებული მღელაჲ ზღვასთან ძღიერებაში. და როს სიგოქემ მოუარა, უცებ მოესმა, რომ ფარდის უგან მორიდებით რადაც იმეროდა, მისევე მასვილი ამოიღო, სოჭაჲ, „თავგადა“ და უსიღავდა, წარმოდგენილ შიშისა ძღლით იგი სსბრძლო ბერი-გარე მან მოაკვირინა.

ხელმწიფე.

ეს რა ამბავი გავიგონე! სომ ეგეთი დღე დაგუადებოდა, ჩვენც რომ იჭა ყოფილავიავით. თავისუფლება მისი მეტად სსშიში არის შენთვის, თუ ჩვენთვის, ყველასათვის. ასლად არ ვიცი, ვით უნდა გავცეთ ჩვენ ჰასუსი ამ კანის-კვლასში. ცსადი არის, რომ ყველაფერი ჩვენ დაგუბრადლება, რავი იმ გიუსა აჭამომდე ხალსში ვურეკდით და მის შეღავმას არ გნდილობდით ყოველის ღონით. მაგრამ ჩვენ მისმა სიყვარულმა მოგვისხო ხედა და ვერ ვამხნევდით, რომელი გზა რომელსა სსჯობდა. ისე ცუდისა სსხეულებით შეპირობალს განსა ჩვეულებად სსტირს უთქმელობა თავის სუნისა, თუნდაც უღრღინდეს იგი ჭირი ჩემად სიცოცხლეს.— ესლად სსად არის?

ღედლოფალი.

თან წაიღო მოკლეულის გეში, რომლის წინაშეც მის სიგოქემ გმნობა იზინა, როგორც უბრძლო მადანთ შორის ძვირფასმა თვალმა, და ესლად იგი თვის სსჭტეილს მწარედ დასტირის.

ხელმწიფე.

დროა, გეტრუდა, რომ წავადეთ. იგი აჭედგან გაგუზანოთ, ვიდრე მზე მითის წვერებს მიუაღვრეს და ამ სსჭმესაც მოკუაროთ, მოკუბოდიშოთ, ვით ჩავგუგონებს ჩვენი ჭკუა და ძღიერება.—

(შემოდინ როზენკრანცი, და გილდენსტერნი.)

აი, გილდენსტერნი, მეგობრებო! სსხეობიცი მიიძხრეთ. და ესლავ წადით ჰამლეტისა მოსაძენხლად. მას სიგოქეში პოლინიუსს შემოჭკვლიამა

და თავის დედის ოთახიდან იმისი გვაში
თან წაუღია. ნახეთ, ტუბილად ელანარაკეთ
და მინსკენეთ იგი გვაშიც ეკლესიაში.
გთხოვთ, დაჩქაროთ.

(გადიან როზენკრანცი და გილდენსტერნი.)

აწ, გერტრუდა, უნდა შევედროთ
ვინც გონიერნი გვეგულებს საქმის-მრჩეველნი,
გაცნობოთ იმათ, თუ რა არის ჩვენი განზრახვა
და სამწუხარო ეს ამბავიც შეგატუბინოთ.
იქნება მაშინ ვერ მოგვწოდეს ჩვენ ცილის-წამება,
რაც სისინით დედამიწას გარშემო უელის,
თავის ბედგარულ მსხვერპლს ჭეშმირავს იგი გესლიან
ისრით

და როგორც ტყეის ზარბაზნისა ნიშანში მიდის.
იქნება იგი მოხვდეს მხოლოდ უნებულ ჭკარს.
წავიდეთ, სული მიშფოთავს და შეკვდება.

სურათი II

(მეორე ოთახი იქვე)

(შემოდის ჰამლეტი.)

ჰამლეტი.

ესლა საიმედო აღვივს არის.

როზენკრანცი და სხვანი.

• (გარედამ.) ჰამლეტი, ბატონო ჰამლეტი!

ჰამლეტი.

ჩემად!—ვის უძახიან? ვინ მიძახის ჰამლეტს. აგერ
აქ მოდიან.

(შემოდის როზენკრანცი და გილდენსტერნი.)

როზენკრანცი,

გვაში სად წასვენეთ, ბატონო ჩემო?

ჰამლეტი.

შეუერთე მიწას, რომელიც მას ნათესავად მოხვდება.

როზენკრანცი.

სწორედ გვიბრძანეთ, სად არის, რომ ეკლესიაში
მივასვენოთ.

ჰამლეტი.

თქვენ კვ ნუ გვუწათ.

როზენკრანცი.

რა ნუ გვჭერს?

ჰამლეტი.

ის, რომ ვითომ მე თქვენის საიდუმლოს შენახვა
შემძღვროს და ჩემისა კი არა. მე რე ვინა მკითხამს ამას?—
უბრალო ღრუბელი! რა ზასუხის უნდა აღიაროს მას დი-
დის ხელმწიფის-შვილმა?

როზენკრანცი.

ბატონო ჩემო, ღრუბელს მე მიწოდებთ?

ჰამლეტი.

დაიად, შენ გიწოდებ ღრუბელს, რომელიც შეისკამს
ხელმწიფის სახის-მეტყველებას, საჩუქრებს და უფლების
ნატყვევს. მაგრამ ბოლოს ამისთანა მოხლეკნი ხელმწი-
ფისათვის მეტად სასარგებლონი არიან, იგი ამათ მაი-
მურივით ჰირის ერთ-ერთ ეუნსტულში ინახავს, ეგელასკედ
აღრე იდებს ზირში და ეგელასკედ გვიან კი ჭყლასავს. რო-
დესაც დასჭირდება, ხელს მოგიტყვოს, გამოგწურავს,
რაც შესძელი გაქვს, და ისევ მშრალ ღრუბლად გადაგტყვევს.

როზენკრანცი.

მე არ მესმის თქვენი ლაზარაკი, ხელმწიფის-შვილო.

ჰამლეტი.

მით უფრო ვარგი: მოსწრებელი სიტყვა რეგენის
უფროს ვერ გამოაღვიძებს.

როზენკრანცი.

ბატონო ჩემო, უნდა გვიბრძანოთ, გვაში სად არის
და ხელმწიფესთან წამოგუყუეთ.

ჰამლეტი.

ხელმწიფეს გვაში თანა აქვს, მაგრამ ხელმწიფე კი
გვამთან არ არის. ხელმწიფე რაღაც არის.

როზენკრანცი.

როგორ თუ რაღაც?

ჰორაციო.

ანუ სრულიად არა არის-რა. წამიყვანე იმასთან,
თვალ-სუჭობა მინდა ვითამაშო.

(გადიან.)

სურათი III

(მეორე ოთხი იქვე)

(შემოდის ხელმწიფე ამალით.)

ხელმწიფე.

გატი გაგზავნე ჭამლეტის და გავის საბუნად. საშიში არის თავისუფლად, რომ დადის იგი, მაგრამ განონის სრულ სიმკაცრით ვერ მოკეპურობით. იგი თვის კერძად დაუსახავს უმეტარს ერსა, რომელიც სჯის მხოლოდ თვალთ და არა ჭკუით, რადც არ იმხნეეს დამსახავის დანაშაულსა და თავის სასწორს აწონინებს მძიმედ მის სასჯელს. თუ გესურს, რომ ყველა დაგაწყნაროთ, დავაშოშმინოთ, ჩვენ ეს ხმა უნდა გაგაურტყლოთ, ვითომც ჭამლეტის აქედამ წასვლა მოსდა დიდის თათბირის შემდეგ. რა სხეულებს განწირულსა სახეს მიიღებს, მის განკურნება ძალეუის მხოლოდ გამწირველ წამალს.

(შემოდის როზენკრანცი.)

რა ამბავს მეტყვიით?

როზენკრანცი.

ვერ გავტყუებ, ჩემო ხელმწიფე და გვაში თუ სად შეუნახავს, ვერ გათქმეინეთ.

ხელმწიფე.

თითონ სად არის?

როზენკრანცი.

გარეთ განდევნეთ დაჩაჯვის ხელში და იქ მიეღოს თქვენს ბრძანებას.

ხელმწიფე.

აქ დაუბახეთ.

როზენკრანცი.

აბა, გილდენსტერნ, მოიყვანე მეფის წინაშე.

(შემოდის ჰამლეტი და გილდენსტერნი.)

ხელმწიფე.

სად არის, ჭამლეტ, პოლონიუსი?

ჰამლეტი.

გახსმად არის.

ხელმწიფე.

გახსმად?

ჰამლეტი.

მაგრამ ის კი არა სჭამს, იმას სჭამენ: პოლიტიკოსი მატლები შეკრებილან და ახლა მისდლობან.

თუ ჭამსე მივარდება საქმე, თქვენი ერთადერთი ზატრონი და მბრძანებელი მატლია. ჩვენ სხვა ცხოველებს იმისთვის ვასუქებთ, რომ ჩვენ დაგვასუქონ და ჩვენ თითონ კი მატლებისთვის ვასუქდებით. მსუქანი ხელმწიფე და მტლე გლახაკი ორივე მათი საქმელია, ეს მხოლოდ ორი თავია ერთსა და იმავე სუფრასზედ მისატანი. ყველას ბოლო ეს არის.

ხელმწიფე.

ოღონდაც, ოღონდაც!

ჰამლეტი.

გაცხე შეუძლიან თვენი დაიჭიროს იმისთანა ჭიანჭველათი, რომელსაც ხელმწიფის სოცრი უჭამია და სტამის თვენი ამ ჭიანჭველათი გამამდნაო.

ხელმწიფე.

მაგითი მერე რა გინდა სთქვას?

ჰამლეტი.

არაფერი, იმას გარდა, რომ მინდოდა, შეჩვენებინა, ხელმწიფე გლახაკის ნაწლავებში როგორ დაძვრება.

ხელმწიფე.

პოლონიუსი სად არის?

ჰამლეტი.

ზეცაში. იქ გაგზავნეთ, მოსიქუნონ? და თუ თქვენი შიგრიკი ვერ იპოვის, თქვენ თითონ მოსიქუნეთ მერე ადგილას. ამ ერთ თვეში თუ ვერ იპოვით, მაშინ ცხვირით მიაგნებთ კიბეზე, ღერუების ასავალთან.

ხელმწიფე.

(ზოგიერთა მხლებლებს.) წადით, და იქ მოხსენით.

ჰამლეტი.

იქ მოგიცდით, არსად არ წავა.

(გადიან რამდენიმე მხლებელი.)

ხელმწიფე.

ჭამლეტ, აქედამ შენ საჩქაროდ უნდა წახვიდე, თორემ ამ საქმეს შეუძლიან რამ აგიტყოსო, და ეს ამბავი მეტის-მეტად ეკავიქრანებს. გწუხვართ, რომ ესეთს განსაცდელსა გადავიადე. მაშ, მოემზადე წასასვლელად, სომალდი გელის ქარიც სავსაო უბეჩავს და შენნი მსლებელიც სულ მზად არიან. ყველა გიწვევს ინგლისისაკენ.

ინგლისისაკენ!

ჰამლეტი.

ხელმწიფე.

სწორედ, სწორედ.

ჰამლეტი.

ძლიან კარგი.

ხელმწიფე.

კარგი გვსურს ჩვენცა, თუ ჩვენს სურვილს თვალს და-
აკვირებ.

ჰამლეტი.

მე ჭერუბიმსა ვხედავ და ის ჭხედავს მავ სურვილს.
კარგი, კმარა, უნდა ინგლისს წავიდე! მშვიდობით
მეირფასო დედა-ჩემო!

ხელმწიფე.

ჭამლეტ, მე მოსიყვარულე მამა ვარ შენი.

ჰამლეტი.

დედა-ჩემო მეთქი. მამა და დედა ცოლქმარნი არიან
და ცოლქმარნი ერთს სისხლსა და სორცს შეადგენენ.
მამ, მშვიდობით დედა-ჩემო. წავიდე თუ ინგლისს.

(გადის.)

წაჭყეო ფეხ-და-ფეხს, მიიტყუეო გემზედ სჩქაროდ.
სულან აუფენებთ, ამაღამეუ მსურს მოკიშორაო.
რაცკი გზისათვის სჩქაროა, ეველა მზად არის.
გთხროთ, დასჩქაროთ, ერთ წუთს აღარ დაგვიანოთ.

(გადიან როზენკრანცი და გილდენსტერნი.)

შენ ვი, ინგლისო, ჩემს წყალობას თუ იმჩნევ რადმე—
და ვგონებ დახულთ ხმაღმა ჩუენი ძალა გაცნობა,
რა ვი ჭრდილობა მისგან ვერ არ გავითელებია
და ჩვენს ძლიერ ტანტს სარკსაც აძლეე ქვეშევრდო-
მულად—

შენ გულ-მხურვალედ მოეპყრო ჩვენს ძალას სურვილს,
რაც წარმოგზავნილს წერილებში გამოთქმულია
და სიკვდილს მიეც მუის ჭამლეტი. ასე მოიქცე,
თორემ ვით სენი გესლიანი გულზედ მებუნს იგი
და უნდა მისხნა ამ სენისგან. მის სიკვდილამდე
ვერა-ვითარო სისარული ვერ გამახარებს.

სურათი IV
(მინდორი დანიაში)

(შემოდის ფორტინბრასი)

ფორტინბრასი.

წადი, იახელ, ასისთავო, დანიის მეფეს
და ჩემმაგიერ მოწიწებით სალაშო უძღვე.
მოახსენე, რომ მე, ფორტინბრასს, მის სამეფოზედ
გავლა მწადიან, ვით დართული მაქვს მისგან ნება.
ხომ იცი, სადაც ვიქნებით ჩვენ და თუ სურს მათსა
დიდებულებსა შირის-შირად საქმის-დატკერა,
ჩვენ ვიანლებით მუისვე იმით ვატივისაცემლად.

ასისთავი.

ესლავ მივდივარ.

ფორტინბრასი.

(ჯარს.) თქვენც წამოდით ნელის ნაბიჯით.
(გადის თავის ფარით და შემოდინ ვა მ-
ლეტი, როზენკრანცი, გილდენ-
სტერნი და სხვანი.)

ჰამლეტი.

ზატონო ჩემო, გთხოვთ მადრძანოთ, ეს რა ჯარია?

ასისთავი.

ნორვეგიადამ განლავს იგი.

ჰამლეტი.

მერე სად მიდის?

ასისთავი.

იგი აზირობს დაიჭიროს პოლონის მხარე.

ჰამლეტი.

ჯარს ვინ უფროსობს?

ასისთავი.

ნორვეგთ მეფის ძმის-მე ფორტინბრასი.

ჰამლეტი.

მთელის პოლონის დახურობა სურს, თუ ნაწილისა?

ასისთავი.

თუ სწორე ამბის გავება გსურთ, ზატონო ჩემო,—
რასაც ჩვენ ვდავობთ, ფრად მცირე გუნტული არის,
იგი სახელის მეტს ვერაფერს ვერავის შესძენს.
მე სურთ ჩქაროსან არ მივსცემდი მისს იჯარაში
და ამაზედ მეტს სარგებლობას, მგონი, ვერ ნახვენ
ვერც პოლონთ მეფე და ვერც მეფე ნორვეგიისა.

ჰამლეტი.

თუ აგრე არის, ხომ მავ ადგილს არცკი დავცვენ.

ნ ა რ ე კ ი

✕ ამ თვის 7 ტფილისის სასამართლო პალატაში გაარჩიეს საქმე გაზ. „დროების“ რედაქტორად ნამყოფის თავიყანე მაჩალოსა და ვირუბოვისა. როგორც მკითხველს უნდა ახსოვდეს, ბ-ნი ვირუბოვა, ო. ურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფმა, უჩივლა სასამართლოში თავ. ივ. მაჩაბელს, რომ გაზეთის 140 ლ-ში დაბეჭდილი იყო ფელეტონი და ამ ფელეტონში აწერილი საძრახისი და სათაკილო საქციელი ჩემზედ დაუწერიათო, ამის გამო მე შეურაცხყოფილი შევიქენი გაზეთის მიერო. საქმის გარჩევის დრო: თავ-მჯდომარედ იყო გონჩაროვი. წვერნი იყენეს მიხაილოვი და ბულატნიკოვი. ამტყუნებდა მაჩაბელს პროკურორის თანამემწე ბ-ნი სტალინსკი.

თავ. ივ. მაჩაბელს დამცველი არა ჰყავდა და თავის დასაცველად თვითვე სთქვა გასამართლებელი სიტყვა და პალატას რამდენიმე მოსაზრება წარუდგინა იმის თაობაზედ, რომ ხსენებულს ფელეტონში სრულიად არ არის მოხსენებული მომჩივარიო და საიღამ იცნო მან თავისი თავი იქ აღწერილი ხოჯაში—ეგ მე ვერ გამიგიაო. ხოჯა შეიძლება სულ სხვა იყოს და არა მაზრის უფროსად ნამყოფი ბ-ნი ვირუბოვიო და ბევრი სხვა ამ გვარი საბუთი მოიყვანა. სასამართლომ დამნაშავედ არ იცნო თავ. ივანე მაჩაბელი და სრულიად გაამართლა ამ საქმის გამო.



ფ ე ლ ე ტ ე ნ ი

* *

გამწარდა განება... გულზედ შეკანება
სეკა და ჭირი,
და უძმე-უტოლოდ სერზედ კსდგეარ მხოლოდ
და გულში ვსტირიო.
აღაწას მოკელი... განქარწყულდა უოკელი
ჩემთვის ნუგეში!
დარღს კელარ ვიშორებ, კსადგურებ და კსცხოვრებ
ტანჯვის უბეში.
ოჰ, იყო ერთი დრო, როცა ოცნების გრო
მაფრენდა ცაში,
გულში ტბიდს ვერძინობდი აღს და სამოთხის ფიანღს
კსკამდი მე მასში.

დღეს ვი წასდა ყველა და შავი ნაღველა
გულს მჭამს ნელ-ნელა,
და აწ მოშსამულში ამ ჩემს მკვინესარ სულში
ბნელა და ბნელა!
საბრალოს და ბედ-შავს გადმეყვა ჯდრე თავს
ცხოვრების ბადე:
ჭეუენის სულ-მდაბლობა და მოძმისგან გმობა
მე ერთად ვსცადე!
დავიწდი უდროოდ და გული სსგლოვოდ
ჭტოდებს და ჭტოდებს,
მაგრამ ჩემს გულის თქმის არავინ არ სტემს ხმას,
არავინ იცოდებს.
კრიგალი გაჭეუენის, სხანს, მარტო მას კსმის
ჩემი გოდებას!...
კვლავ შორს ვიცქირები, მაგრამ გულს ჭირები
არ ეშუებან
და განუშორები, შავ-ფიქრის გორები
თავს მსწებან.
ვისია ნეტავი ეს შავი საფლავი,
ჩემს ჭეუენოთ რომ სხანს,
და ან სამაგელი იქ ჭია და გველი
ვის საწყალ გულს სჭამს?!
კრიგალი იქ ჭყვირის, ჭირი მას დასტირის
მწარის ჭკითინით
და მოსთქვამს მდინარე, იქ წყნარ-მომდინარე,
ბუტ-ბუტ-ლიდინით...
სამარე, სამარე! შენ მანდ ვინ დაშალე
უფსკრულ ჭეუენელში,
შენთან ვინ ისტუმრე და ვინ გაისტუმრე
იმ ჭეუენის ბნელში?!
მაგ განმარტოებულს, ობლად დატოვებულს
აღაგს ვინა სდგეს
და მანდვე გაზრდილი, კელური ასკალი
ფესკებს ვისა ჭსვეს?
კაცია, თუ ჭალი მაგ შენი საწყალი
მუდმივი მდგური,
რომ ჭირი სტემია და არ მისტემია
საშეკელი მშური?!
იყო ვინმე დიდი, გიბირი და ურიდი
და მკლავ-მლიერი,
თუ ვინმე მთხოვარი, აქ საწყლად მოხარი,
მუდმივ მშური?
მოხუცი იყო კგ და წვალების შემდეგ
მწარედ ჭენაოდს,
თუ ჭერეთ უმსწვილი, ვით იის უვაილი,
ახლად ჭეუენოდა?!

სამარე, სამარე! გამეცი სმა მალე:
 შენში მძინარი
 მოსულა რა მსრდამ და ან წვეს რა სნიდამ
 მანდ?... ან ეინ არი?..
 ისმის სმა სამარის:,, საბრალა რამ არის
 ჩემი სტუმარი!
 ვაჟი ჯერ ყმაწვილი, ტუვიით გულ-დაჭრილი
 აქ სდეკს მდუმარი.
 ეს სატრფოს ერწმუნა, მაგრამ მან უმტუენა
 და მიენდო სსვას,
 მით მოჭკლა იმე დღეს და იმ წამს ექით ეს
 მისცა სვედის ზღვას!
 დასუსტდა ხელ-ხელა... გელარ მოინელა
 ამან ის სუკდა!
 ერთხელ აქ მოიქტა და მწარედ დაიცა
 ტუვია გულზედა,
 და მეორე დილას ამავე ადგილას
 მკვლარი რა ნახეს,
 ამ მინდვრით გამრებმა, შორის მსრის მგსავრებმა
 ეს აქ დამარესეს.
 მას აქით ყოველ წელს მოველი ამის მკვლელს,
 ამის ბნელს ჩამტანს,
 ვაგრამ ჯერ ის გულ-ჭკა თითქოს ბნელს ჩანთქა,
 დღემდე არსად სჩანს!..

ცახელი.

სომხური თეატრი

წარსულს ორშაბათს ჩვენ დავესწარით სომხურს წარმოდგენას. თამაშობდნენ ალ. დიუმას 4 მოქმედ დრამას „ედმონდ კინს“ ბ-ნი ადამიანის მონაწილეობით.

როგორც ჩვენ, ქართველებს, სომხებსაც ამ წელს დაუარსდა დრამატიული კომიტეტი, რომელსაც უკისრნია დრამატიულის დასის წინ გაძღოლა, მაგრამ საუბედუროდ ჯერ დასი ხეირიანად არც კი შეუდგენიათ. დასის უხეირობა ამკარად ეტყობოდა წარსულ წარმოდგენას, გარდა ბ-ნი ადამიანისა არაეინ არ იყო თავის ადგილზე. გრაფების, გრაფინების და ჰერცოგების მაგიერად რალაც კაცის მსგავსი აეტომატები მი-

მოძრაობდნენ სცენაზე. ალაგ-ალაგ გვარიანად თამაშობდა ბ-ნი აეალიანი და ბ-ნი ტერდაეთიანი. პიესას სრულებით არ ეტყობოდა რევისორის ხელი, ასე წარმოიდგინეთ, ფანჯრებიც არ იყენენ თავ-თავიანთ ადგილას. მაგალითად: სოლომონმა (აველიანმა) ფარდა ახადა ფანჯარას იმ განზრახვით, რომ სინათლე შემოსულ იყო, მაგრამ ფანჯრის მაგიერ რალაც თალი გამოჩნდა და კიდევ ბეერს მაგისთანა კურიოზებს შეხედებოდა კაცი იმ საღამოს. ბ-ნი ადამიანი ედმონდ კინის როლს ხელოვნურად ასრულებდა, ხოლო უკანასკნელი მოქმედება მეტად ქარბათ მოუვიდა: ის შთაბეჭდილება ვერ მოახდნა, რომელსაც მაველოდით. ეს ფიასკო იმ გარემოებით აიხსნება, რომ ბ-ნი ადამიანი ცდილობს ედმონდ კინი გიყად გამოიყვანოს იმის მიხედვით, რომ სოლომონი აცხადებს: კინი ჭკვაზედ შეიშალაო. ეს შეცდომა ბ-ნი ადამიანის მხრით, ედმონდ კინი ალ. დიუმას პიესაში სრულებით არ გიყდება, არამედ ბრახდება თავის დავიწყებამდე — ყველას უნდა მოეხსენებოდეს, და მით უფრო ბ-ნის ადამიანს, რომ გაბრაზევა და ჭკუაზედ შემლა ერთი და იგივე არ არის... .

საკვირველი ის არის, რომ სომხური საზოგადოება სრულებით არ ესწრება წარმოდგენებს და წარსულს ორშაბათს მთელი თეატრი თითქმის ცარიელი იყო. ეს გარემოება ჩვენ ვერას გზით ვერ აგვიხსნია, მით უფრო რომ სომხურს საზოგადოებაში ერთი ათად შემძლებულნიც და ფულეებიანიც არიან ეიდრე ჩვენში.

ხეალ წარმოდგენილ იქნება დრამა: „მსსკეპზ-ლისთვის მსსკეპზლი“.

გალოკო—ია

პრიტიკა და გიგლიოგრაფია

ორიოდე სიტყვა „ივერის“ რეცენზენტის მიმართ.

ყოველს უბრალო მომავლადეს მოეთხოვება ცოდნა იმ საენისა, რომელზედაც იგი სჯას აპირობს, რაზედაც ბასობს და ლაპარაკობს. ეს უსუსური ჭეშმარიტება ბავშვებსაც უნდა ესმოდეს და მით უფრო შეგნებული უნდა ჰქონდეს იმას, რომელიც ლიტერატორობას ლამობს და თა-

ვის უმცირესი ნაყოფით აესებს გაზეთის სვეტებს და უცხო კრიტიკულ მსჯელობის ნიშნად ასაღებს მკითხველ საზოგადოებაში. — დიად, უთუოდ უნდა იცოდეს და შეგნებულად ჰქონდეს, თორემ ამის გარეშე ყოველი სჯა, ყოველი ბაასი, ყოველი კრიტიკული განხილვა ავად-ყოფის ბოდვას წაეგვანება, გიჟის ლოლიკას ედარება. ეს ერთი. მეორე: — ყოველი კაცი უთუოდ მართებული უნდა იყოს: ყოველს მის განზრახვას, სურვილს, შენიშვნას სარჩულად აუცილებლად სიფაქიზე, სიწმინდე, კეთილსინიდიისიანობა უნდა ედევას, ეს მითუმეტესად მოთხოვნება ლიტერატორს, გაზეთის თუ ჟურნალის თანამშრომელს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ლიტერატორს შარლატანი ეწოდების, უმართებულო ჯღაბნია დერქმევის. დიად, ყველა ეს ასე არის და ასეც უნდა იყოს. მაგრამ ხანდისხან, როდესაც პირველი და მეორე გარემოება, ე. ი. უცოდნელობა და პირადობა, უმცირება და უმართებულობა ერთად მოიყრიან თავს, როდესაც ერთი-მეორეს ხელი-ხელ გაყრილი დაიწყებენ ნაფარდობას, თუნდაც ისეთს დინჯის და ქუა-დამჯდარის გაზეთის ფურცლებზე, როგორც არის „ივერია“, მაშინ უბრალო მომაცდადეს ვალად ედება ხმა ამოიღოს ამ გვარ ლიტერატორის ასალაგმებლად, პირ-ახეულის კრიტიკისის პირ-ასახვევად და ჩვენც მხოლოდ ამიტომ ვიღებთ ხმას.

დაიწყეთ ფაქტებიდან. „ივერიის“ 215 №-ში დაბეჭდილია რეცენზია ქართულ წარმოდგენაზე, რომელიც გამართულ იყო წარსულის კვირას. ბ-ნი უცნობი რეცენზენტი (რადგან წერილის სახელი არ აწერია, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეცენზია რედაქციის ერთ-ერთს ბურჯს ეკუთვნის) რაღაც სასაცილო ავტორიტეტით მთელს გაზეთის ორ სვეტში იმას მოგვითხრობს, თუ რა არის ორიგინალური პიესა, რა სარგებლობა და მნიშვნელობა აქვს შედარებით თარგმნილ პიესებთან და სხვა. ან მთერალი უნდა იყოს კაცი, ან სრულებით გამოყვეჩებული, რომ მთელი ერთი საათი იმაზე ილაპარაკოს: ორიგინალური პიესების დადგმა სჯობია ნათარგმნი პიესების წარმოდგენასო!...

ნეტა ეიცოდეთ, სად ეგულება ბ-ნს „ივერიის“ რეცენზენტს ისეთი გულ-უბრყვილო მკითხველი, რომელსაც არ ესმოდეს ორიგინალურის პიესების მნიშვნელობა? მაგრამ ჩვენ ის ვსთქვით, რომ როდესაც ბავშვისწავლის ხუთ-ჯერ-ხუთი რამდენია, მაშინ თავის თავი არხიმედათ მიაჩნია, და ბ-ნს „ივერიის“ რეცენზენტს თავის ქვაში, შემოყვანილის მსჯელობით, ამერიკა ხელ-ახლად აღმოუჩენია. —

„ბედნიერი დღე“ თვით რუსულებსაც არ მოსწონთ, თუმცა ორის დრამატურდის ოსტროვსკისა და სოლოვოვიკის სახელიც აწერიაო. ჩვენ არ ვიცით სად, ან რომელი წყაროებიდან ამოიკითხა ბ-ნ რეცენზენტმა ასეთი დასკვნა, ხოლო ეს ჭეშმარიტია, რომ ბ-ნ რეცენზენტმა იმდენად იცის რუსების თეატრის და დრამატულ ხელოვნების ისტორია, რაოდენად ცაგარელის აკოფამ საპოლიტიკო ეკონომია. ასეთი ტყუილი, როგორც ბ-ნ რეცენზენტმა გამაცხობა, ამ ჩვენ „სიცრუის დროშია“ იშვიათი მოვლენაა. „ბედნიერი დღე“ რუსულ რეპერტუარში ერთ უკეთეს პიესად ითვლება და 1876 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე არც ერთს სცენას არ მოგებრებია და ესეც რომ არ იყოს, აი რას ამბობს თვითონ ბ-ნი რეცენზენტი იმავე „ივერიის“ 22 №-ში „ბედნიერი დღე მბაბრული პიესა და მყოფებლები ბუერც აცინა; პიესას დიდი საკლუდეკანება ანა აქვს, ესეც კარგია რომ კაცს სადი და მართალი საცილი მოგვკაროს“. ამას ბ-ნი რეცენზენტი ამბობდა 29 იანვარს ამ წლისას და 7 დეკემბრისთვის კი სულ სხვა კილოზე ქიკვიკობს. რა მიზეზია? უთუოდ ისა, რომ ენლა მეტის მეტად ძალა დაუტანებია ქვეისათვის.

შემდეგ ბ-ნი „ივერიის“ რეცენზენტი ბრძანებს, ქართულ დას ნათარგმნი პიესების თამაშობა არ შეუძლიანო. ამის მთქმელი უეჭველია ქართულ წარმოდგენებს სრულებით არ დასწრებია. თუ ბ-ნი რეცენზენტი ამის წინააღმდეგ კინტაც დასძრავს, ჩვენ ვეცდებით ფაქტებით დაეარწმუნოთ იგი. ეს კიდევ არაუფრო: ბ-ნი რეცენზენტი თან-და-თან უფრო ჰყოპავს სიცრუის და პირადობის მორევეში და აი რასა ბრძანებს თვითონ პიესის თამაშობაზე: „განს ჰგანდა ქბ-ნი გაბ. ცაგარელისა ფოქტმეისტერის ცოლს?“ და პასუხად ბრძანებს, არაო. ამას ამბობს ის კაცი, რომელიც იანვარში ისევე „ივერიის“ 22 №-ში სწერს გაბუნია-ცაგარლისაზე. „მშენიერი იყო პოქმეისტერის ცოლის ცოლში ნ. გაბუნისა ქადი“. ნეტა რას მოასწავებს ასეთი ასკინკილობა ბ-ნი რეცენზენტის მხრით? უთუოდ იმას რომ იანვარში ბ-ნი რეცენზენტის ფულტრო ლოლიკაში ზენა ქარი ჰბერავდა და დეკემბრისთვის კი ქვენა ქარი!... შემდეგ: აბა აქვე ამის მაგიერ ქართულად თავი დაქუარ და შავს წამოსასხმელში გამოსუდიყო, მაშინვე ისევე იმსწრემას წარმოდგენდით, რომელიც წარსულს კვირას ნახეთ, აუსუს ლოლიკავ! მართალია, ბ-ნო „ივერიის“ რეცენზენტო, თქვენ ბევრი რამ შეგიძლიანთ წარმოდგინოთ და ეს სრულს თქვენს უფლებშია და ასეც იქცევით კიდევ, ხოლო გარწმუნებთ, თუ წარმოდგენა ასეთი შეურყვევლი საბუთია

სინამდვილისა, მაშინ ნეტარ ხსენებული გოგოლის აქსენტი ივანის პოპრიშჩინი მართალი ყოფილა, რადგან თავის თავი ესპანიის მეფედ ჰქონდა წარმოდგენილი, სწორედ ისე, როგორც თქვენ თქვენი თავი რეცენზენტად წარმოდგენიანთ. რა განსხვავებაა თქვენს და პოპრიშჩინის შორის? მხოლოდ ისა, რომ პოპრიშჩინი ხალათით გიყვების, სრა სასახლეში დასვირნობდა, — თქვენ კი, ივერიის რედაქციაში დაგიმკვიდრებით ბინა და მის ფურცლებზე ნაფარდობთ. — თუ მართლა ბ-ნო „ივერიის“ რეცენზენტო, თქვენმა წარმოდგენამ „ფოჩტმისტერის ცოლის“ მაგიერ „ხანუმა“ წარმოგიდგინათ; მაშინ აი რას გირჩევთ: როდესაც ფართობანლის ქამა მოგინდეთ, კართოფილი ღებეთ და თან ლიმონს უსუნეთ... წარმოდგენს კი თავისას იმოქმედებს და ფართობანლის გემოს მოგაგონებთ!... სამწუხარო და ღიანაც სამწუხაროა თქვენი წარმოდგენის სიფიცხლე!

ერთი კურობი კიდე და მოვრჩებით კიდეცა. თქვენ ბ-ნო რეცენზენტო, ბრძანებთ: „მესხიეკს, ჟერ ერთი ნამდვილი ექიმის სახე გაეკეთებინათ“ კეთილ ინებეთ ბ-ნო რეცენზენტო, და ავეიხსენით ჩვენ, უბრალო მომაცვლათ, რა არის, ან რას ნიშნავს ეს კლასიკური ფრაზა: ნამდვილი ექიმის სახე? განა ექიმებს სხვა რამე, არა ჩვეულებრივი, განსაკუთრებული სახე აქვთ, და თუ მართლა აქვთ, სად მოიპოვებინან ის ექიმები! რომელ სახელმწიფოში არიან, რომელ ქვეყანაში?... უეჭველია ესეც თქვენი წარმოდგენის ბრალია; უთუოდ თვენი ფიცხე წარმოგენს წარმოგიდგენდათ ნამდვილ ექიმის სახეს!....

ბ-ნო «ივერიის» რეცენზენტო, სხვა რომ არა იყოს — რა სირცხვილია! ტყუილი კი არ უთქვამს ე.კუროჩკინს ერთს თავის ლექსში, რომელსაც თქვენ გიძენით, ბ-ნო რეცენზენტო:

Другъ мой, вотъ, тебѣ совѣтъ:
 Если хочешь жить на свѣтѣ, —
 Свѣжимъ воздухомъ дыши
 Безъ особенныхъ претензій;
 Если глупъ, такъ не пиши,
 А особенно рецензій!...

ვალეო — ი.

მოსწრებული სიტყვა.

გურული გლეხი მეგრულმა ვასშად დაჭატიყა. ვასშადის დროს რაღაცაზე შედაჯდენ. მეგრულმა თავის სიამოთლის დასამტკიცებლად ხელი დაადგა ღომს, რომელიც გაურეცხელი ყოფილიყო და შავი ფერი ჰქონდა, და სიტყვა.

- ვარტენი, ამის მადლი ნუ გამიწყრება ასეა, როგორც გუებები!
- რის მადლს ჰფიცულობ? ჰქითს სტუმარმა.
- ამ ღომისას, ვარტენი.
- ღედა და თუ მასე გეფიცებოდა, ერთს ხეიწანად გაგრეტსდი მაინც!..

ქუთაისის ბანკის კენჭის ყრის დროს მოგესხენებათ, ეოგელთვის გაცხარებული ვარტობაა. თ-დი სვიმონ გუგუნავა, სახლი ჟვარ დაწერილი ერთ-ერთ კანდიდატის ნათესავ ქალზედ, წინააღმდეგს დასს ეეუთონოდა. ბათუმის სასტუმროში ვიღაცამ შემდეგის სიტყვით მიქმართა ვარტეგემულს თავადს: — უეცრავად კი ვარ, მაგრამ ვგონებ ყაღობთ სვიმონ: გუშინ ანტონის და შეერთეთ და ჩვენ კარზედ ვიცით ანტონის აზრი?

— დალოცვილო, მიუგო სვიმონმა, მე ანტონის დაი შევირთე, თვარა აზრი კი არ შემიერთავს!

ჰ.

რედაქტორ-გამომცემლი ვ. აბაშიძე.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებსაც ავიღებ.

ვეტრე მირიანაშვილი ადრესი „თეატრის“ რედაქციონში.